ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

„ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

„ზ“ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

საკონტაქტო პირები:

პროგრამის ხელმძღვანელები:
ნინო პატარაია nino.pataraia@iliauni.edu.ge
გიორგი ხიშტოვანი giorgi.khishtovani@gmail.com
ნიკოლოზ ყაველაშვილი nikoloz.kavelashvili@iliauni.edu.ge

კოორდინატორი:
სოფიო გაბისონია sopio_gabisonia@iliauni.edu.ge

ტექნოლოგიის სკოლა

საბაკალავრო პროგრამები

პროგრამის დასახელება: **არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: არქიტექტურის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 8 სემესტრი, 240 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი: არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის მისიაა წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში შექმნილი გარემოს მეშვეობით.

პროგრამა დაბალანსებულია თეორიული და პრაქტიკული კომპონენტებით და ახდენს შემოქმედებითობის და ინტელექტუალური უნარების სინთეზს. მასში გამოყენებული სტუდიური მუშაობის პრინციპზე დაფუძნებული სწავლება ემსახურება სტუდენტების შემოქმედებითი და კრიტიკული იდეების ხორცშესხმას და მათი ბაზისური არქიტექტურული უნარების განვითარებას. პროგრამაში ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ინტერდისციპლინურ მიდგომებს.

არქიტექტურის პროგრამის მიზანია, მოამზადოს პასუხისმგებლიანი და კონკურენტუნარიანი დარგის სპეციალისტი, რომელიც:

- აღჭურვილი იქნება არქიტექტურის ძირითადი კონცეფციების, განვითარების ისტორიის და ტენდენციების, ასევე არქიტექტურასთან დაკავშირებული სფეროების შესახებ ფართო ცოდნით;
- შეძლებს პროექტირების და მშენებლობის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას;
- ექნება უნარი საჭიროების გათვალისწინებით მოახდინოს პრობლემის/ამოცანის განსაზღვრა, გადაწყვეტილების მიღება, და არქიტექტურული პროექტის შემუშავება ზედამხედველობის ქვეშ, ესთეტიკური, ფუნქციური, ტექნიკური ასპექტების და პროფესიული ეთიკის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- განვითარებული ექნება თანამედროვე პროფესიულ სფეროში შესვლისთვის საჭირო ინტერპერსონალური და პროფესიონალური უნარ-ჩვევები.

სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

- ავლენს ისტორიული და თანამედროვე არქიტექტურის ძირითადი იდეების, მიმართულებების და მნიშვნელოვანი ფიგურების შესახებ ფართო ცოდნას და შეუძლია მათი კრიტიკული გააზრება;
- აცნობიერებს სოციალურ-კულტურულ, ქალაქთმშენებლობით, არქიტექტურულ ფასეულობებს და კონტექსტებს, ასევე, გარემოს დაცვასა და არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობებს;
- წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად, შეუძლია ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, კვლევა და დაპროექტების თეორიისა და მეთოდების ზოგიერთი უახლესი ასპექტის გამოყენებით ორიგინალური არქიტექტურული პროექტის შესრულება (ესკიზიდან-რეალურ პროექტამდე), ფუნქციური და ესთეტიკური მიდგომების გათვალისწინებით;
- აცნობიერებს საზოგადოებრივ მოთხოვნებს, დამკვეთისა და მომხმარებლის ინტერესებს, არქიტექტურის პროფესიის როლსა და მნიშვნელობას არქიტექტურული პროექტზე მუშაობის ყველა ეტაპზე;
- იაზრებს და ითვალისწინებს შენობა-ნაგებობის სისტემებთან დაკავშირებულ სტრუქტურებს, მასალებს, კონსტრუქციებს, სამშენებლო პროცესებს, ტექნოლოგიებსა და სხვა საინჟინრო საკითხებს; ახდენს მათ ინტეგრირებას სხვადასხვა სირთულის/მასშტაბის საპროექტო დავალებაში;
- არქიტექტურული პროექტის შემუშავების, წარდგენისა და განხილვისას იყენებს ელექტრონულ, გრაფიკულ, მაკეტირების, ვერბალურ, წერით, მულტიმედიურ მეთოდებს;
- პროექტირების პროცესის დროს, პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით, მუშაობს ინდივიდუალურად ან გუნდში და აქვს განვითარებული ინტერპერსონალური უნარები;
- განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.

შეფასების სისტემა:

სასწავლო კომპონენტის შეფასება წარმოებს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი
(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

ხელმძღვანელი: ვახტანგ კასრელიშვილი, vakhtang.kasrelishvili@iliauni.edu.ge

კოორდინატორი: გვანცა ლორთქიფანიძე, gvantsa.lortkipanidze@iliauni.edu.ge

პროგრამის დასახელება: **მათემატიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მათემატიკის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 8 სემესტრი, 240 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

სწავლის შედეგები:

- კურსდამთავრებულს აქვს უმაღლესი მათემატიკის ფუნდამენტური კონცეფციების, ძირითადი მათემატიკური ცნებების, მათ შორის კლასიკური მათემატიკური მოდელის, პრინციპებისა და თეორიების საბაზო ცოდნა და შეუძლია მათ შორის არსებული ორგანული კავშირების იდენტიფიცირება;
- კურსდამთავრებულს შეუძლია ამ საბაზო ცოდნის ფარგლებში თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ამოცანათა ამოსახსნელად მათემატიკური მეთოდების შერჩევა და გამოყენება, კლასიკური მათემატიკური მოდელის შესაბამისი ამოცანების გამოკვლევა;
- კურსდამთავრებულს აქვს დამტკიცების და ლოგიკური მათემატიკური მსჯელობის უნარი მოცემულობების, დაშვებების და დასკვნების მკაფიო იდენტიფიკაციით;
- კურსდამთავრებულს შეუძლია პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციების/ინსტრუქციების მიხედვით;
- კურსდამთავრებულს შეუძლია მკაფიოდ და ზუსტად მოახდინოს საკუთარი არგუმენტებისა და დასკვნების კომუნიკაცია (ქართულსა და ინგლისურ ენებზე) სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან; კომუნიკაციისას იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს;
- კურსდამთავრებული იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;
- კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა და შესაბამისი რესურსების გამოყენება.

შეფასების სისტემა:

სასწავლო კომპონენტის შეფასება წარმოებს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი
(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

ხელმძღვანელი: მერაბ სვანაძე, svanadze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი: გვანცა ლორთქიფანიძე, gvantsa.lortkipanidze@iliauni.edu.ge

პროგრამის დასახელება: **კომპიუტერული მეცნიერება (ძირითადი სპეციალობა)**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 8 სემესტრი, 242 კრედიტი

სწავლების ენა: ინგლისური

პროგრამის მიზანი:

კომპიუტერული მეცნიერების პროგრამის მიზანია, მოამზადოს სტუდენტები მათ მიერ არჩეული სპეციალობისთვის. პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ხარისხიანი სწავლების პროცესი, სტუდენტებს მისცეს რჩევა და გაუწიოს დახმარება, რათა მათ მიიღონ ის ცოდნა, რაც აუცილებელია კომპიუტერული მეცნიერების დარგის მაღალი მოთხოვნებიდან გამომდინარე.

პროგრამის საგანმანათლებლო მიზნები შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის მისიას, რაც გულისხმობს ცოდნის შექმნას, გაცემასა და გამოყენებას, რათა ხელი შეუწყოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარებას, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

გარდა საჭირო პროფესიული უნარების მიწოდებისა, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებს ისეთი ცოდნით, რაც მათ დაეხმარება საზოგადოებაში ეფექტური და ჰარმონიული ცხოვრებისთვის. პროგრამის ზოგიერთი კურსი ხელს შეუწყობს მომავალი კურსდამთავრებულების კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას, ხოლო კურსების ნაწილი მიაწვდის მათ საბაზისო ცოდნას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ჯგუფურ მუშაობაზე აქცენტი, ასევე ძირითადი კურსის სტრუქტურა მიმართულია იმისკენ, რომ შეავსოს კომპიუტერული პროგრამების ინჟინრების, ვებ და მობილური აპლიკაციების დეველოპერების, მონაცემების ინჟინრების, მონაცემთა მეცნიერების, სისტემისა და მონაცემთა დეველოპერებისა და ადმინისტრატორების მიმართ მზარდი მოთხოვნა.

პროგრამის ფარგლებში მათემატიკის, ალბათობის თეორიისა და სტატისტიკის ფუნდამენტური კურსები კარგად არის ინტეგრირებული კომპიუტერული პროგრამების ინჟინერიის, სისტემის ადმინისტრირებისა და მონაცემთა მეცნიერებების კურსებში. პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს ადეკვატური პრაქტიკული და თეორიული ცოდნის მიღებას კომპიუტერული მეცნიერებების დარგში. პროგრამის კურსდამთავრებულები იქნებიან კონკურენტუნარიანები საქართველოში და ასევე საზღვარგარეთ კომპიუტერული პროგრამების ინჟინერიის, სისტემის ადმინისტრირებისა და მონაცემთა მეცნიერებების დარგში.

ამასთან ერთად, პროგრამა ორეინტირებულია ისეთი უნარების განვითარებაზე, რომლის გადაცემაც შესაძლებელია ზეპირი და წერითი კომუნიკაციისას ერთ არამშობლიურ ენაზე მაინც, რაც განავითარებს სტუდენტების მრავალკულტურულ ცოდნას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კურსდამთავრებულები გამოიყენებენ ამ უნარებს იმისთვის, რომ ჰქონდეთ კარიერული წინსვლა როგორც მრეწველობაში, ასევე სახელმწიფო სექტორსა თუ აკადემიურ სფეროში.

სწავლის შედეგები:

კომპიუტერული მეცნიერების პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევა:

- აანალიზებს კომპიუტინგის რთულ ამოცანებს და იყენებს კომპიუტინგის და სხვა დაკავშირებული დისციპლინების პრინციპებს გადაწყვეტის გზების განსასაზღვრად;
- პროგრამის დისციპლინის კონტექსტში, შექმნან, დანერგონ და შეაფასონ კომპიუტინგზე დაფუძნებული გადაწყვეტილება, რომელიც პასუხობს გამოთვლის განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- მოახდინონ ეფექტური კომუნიკაცია სხვადასხვა პროფესიულ კონტექსტში;
- გააცნობიერონ პროფესიული პასუხისმგებლობა და მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, სამართლებრივ და ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით;
- იმოქმედონ ეფექტურად როგორც ჯგუფის ლიდერებმა ან ჯგუფის წევრებმა პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების შესაბამის აქტივობებში;
- იყენებს კომპიუტერული მეცნიერების თეორიას და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების საფუძვლებს კომპიუტერზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებისთვის.

შეფასები სისტემა:

სასწავლო კომპონენტის შეფასება წარმოებს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი
(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

ხელმძღვანელი: ერეკლე მაღრაძე erekle.magradze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი: ანა ჭრელაშვილი ana.tchrelashvili@iliauni.edu.ge

პროგრამის დასახელება: **კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 8 სემესტრი, 244 კრედიტი

სწავლის შედეგები:

კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევა:

- ამოიცნობს, განსაზღვრავს და ჭრის ინჟინერიის კომპლექსურ ამოცანებს ინჟინერიის, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების პრინციპების გამოყენებით;
- საინჟინრო დიზაინის გამოყენებით იღებს კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებულ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებშიც გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის, ასევე გლობალური, კულტურული, სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ფაქტორები;
- ახდენს ეფექტურ კომუნიკაციას ფართო საზოგადოებასთან;
- საინჟინრო სიტუაციებში, აცნობიერებს ეთიკურ და პროფესიულ პასუხისმგებლობას და იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს, გლობალურ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ კონტექსტებზე ზეგავლენის გათვალისწინებით;
- ეფექტურად მუშაობს გუნდში, რომლის წევრები ერთობლივად მართავენ გუნდს, ქმნიან თანამშრომლობით და ჩართულობით გარემოს, განსაზღვრავენ ამოცანებს, გეგმავენ განსახორციელებელ საქმიანობას და აღწევენ მიზნებს;
- ამზადებს და ატარებს ექსპერიმენტს, აანალიზებს და ინტერპრეტაციას უკეთებს მიღებულ მონაცემებს და საინჟინრო მსჯელობის შედეგად აყალიბებს დასკვნებს;
- ითვისებს და იყენებს ახალ ცოდნას საჭიროებისამებრ, სათანადო სწავლის სტრატეგიების საშუალებით.

შეფასების სისტემა:

სასწავლო კომპონენტის შეფასება წარმოებს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი
(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

პროგრამის ხელმძღვანელი: პაატა გოგიშვილი paata.gogishvili@iliauni.edu.ge

კოორდინატორი: ანა ჭრელაშვილი ana.tchrelashvili@iliauni.edu.ge

პროგრამის დასახელება: **კომპიუტერული ინჟინერია (საერთაშორისო)**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 8 სემესტრი, 244 კრედიტი

სწავლების ენა: ინგლისური

სწავლის შედეგები:

კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევა:

- ინჟინერიის, მეცნიერების და მათემატიკის პრინციპების გამოყენებით ინჟინერიის კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირების, განსაზღვრის და გადაჭრის უნარი;
- საინჟინრო დიზაინის გამოყენებით კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული ისეთი გადაწყვეტილების მიღების უნარი, რომელშიც გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის, ასევე გლობალური, კულტურული, სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ფაქტორები;
- ფართო საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- საინჟინრო სიტუაციებში ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის გაცნობიერებისა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საინჟინრო გადაწყვეტილების ზეგავლენას გლობალურ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ კონტექსტებზე;
- გუნდში ეფექტური ფუნქციონერობის უნარი, რომლის წევრები ერთობლივად მართავენ გუნდს, ქმნიან კოლაბორაციულ და ინკლუზიურ გარემოს, განსაზღვრავენ ამოცანებს, გეგმავენ განსახორციელებელ საქმიანობას/დავალებებს და აღწევენ მიზნებს;
- უნარი მოამზადოს და ჩაატაროს შესაბამისი ექსპერიმენტი, გაანალიზოს და ინტერპრეტაცია გაუკეთოს მონაცემებს, გამოიყენოს ინჟინრული მსჯელობა დასკვნების ჩამოსაყალიბებლად;
- სწავლის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება, საჭიროებისამებრ, ახალი ცოდნის ათვისების და გამოყენების უნარი.

შეფასების სისტემა:

სასწავლო კომპონენტის შეფასება წარმოებს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი
(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

ხელმძღვანელი: პაატა გოგიშვილი, paata.gogishvili@iliauni.edu.ge

კოორდინატორი: ანა ჭრელაშვილი, ana.tchrelashvili@iliauni.edu.ge

პროგრამის დასახელება: ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მეცნიერების ბაკალავრი ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში

პროგრამის მოცულობა: 8 სემესტრი, 244 ECTS

სწავლების ენა: ინგლისური

სწავლის შედეგები:
პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევა:

- ინჟინერიის, მეცნიერების და მათემატიკის პრინციპების გამოყენებით ინჟინერიის კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირების, განსაზღვრის და გადაჭრის უნარი;
- საინჟინრო დიზაინის გამოყენებით კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული ისეთი გადაწყვეტილების მიღების უნარი, რომელშიც გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის, ასევე გლობალური, კულტურული, სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ფაქტორები;
- ფართო საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- საინჟინრო სიტუაციებში ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის გაცნობიერებისა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საინჟინრო გადაწყვეტილების ზეგავლენას გლობალურ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ კონტექსტებზე;
- გუნდში ეფექტური ფუნქციონერობის უნარი, რომლის წევრები ერთობლივად მართავენ გუნდს, ქმნიან კოლაბორაციულ და ინკლუზიურ გარემოს, განსაზღვრავენ ამოცანებს, გეგმავენ განსახორციელებელ საქმიანობას/დავალებებს და აღწევენ მიზნებს;
- მოამზადოს და ჩაატაროს შესაბამისი ექსპერიმენტი, გაანალიზოს და ინტერპრეტაცია გაუკეთოს მონაცემებს, გამოიყენოს ინჟინრული მსჯელობა დასკვნების ჩამოსაყალიბებლად;
- სწავლის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება, საჭიროებისამებრ, ახალი ცოდნის ათვისების და გამოყენების უნარი.

შეფასების სისტემა:
სასწავლო კომპონენტის შეფასება წარმოებს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი
(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

ხელმძღვანელი: გიორგი ვეშაპიძე giorgi.veshapidze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი: ანა ჭრელაშვილი ana.tchrelashvili@iliauni.edu.ge

პროგრამის დასახელება: **სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამოქალაქო ინჟინერიის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 8 სემესტრი, 254 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს ისეთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სამოქალაქო ინჟინერიაში, რომელებიც აღჭურვილი იქნებიან ფართო თეორიული ცოდნითა და შესაბამისი საინჟინრო პრაქტიკული უნარებით. ასევე, პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას, წარმატებული პროფესიული კარიერისთვის, რათა მათ წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივი კეთილდღეობის, ცხოვრების ხარისხისა და შექმნილი გარემოს გაუმჯობესებაში.

სწავლის შედეგები:

სამოქალაქო ინჟინერიის პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევა:

- ინჟინერიის, მეცნიერების და მათემატიკის პრინციპების გამოყენებით ინჟინერიის კომლექსური პრობლემების იდენტიფიცირების, განსაზღვრის და გადაჭრის უნარი;
- საინჟინრო დიზაინის გამოყენებით კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული ისეთი გადაწყვეტილების მიღების უნარი, რომელშიც გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის, ასევე გლობალური, კულტურული, სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ფაქტორები;
- ფართო საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- საინჟინრო სიტუაციებში ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის გაცნობიერებისა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საინჟინრო გადაწყვეტილების ზეგავლენას გლობალურ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ კონტექსტებზე;
- გუნდში ეფექტური ფუნქციონერობის უნარით, რომლის წევრები ერთობლივად მართავენ გუნდს, ქმნიან კოლაბორაციულ და ინკლუზიურ გარემოს, განსაზღვრავენ ამოცანებს, გეგმავენ განსახორციელებელ საქმიანობას/დავალებებს და აღწევენ მიზნებს;
- უნარი მოამზადოს და ჩაატაროს შესაბამისი ექსპერიმენტი, გაანალიზოს და ინტერპრეტაცია გაუკეთოს მონაცემებს, გამოიყენოს ინჟინრული მსჯელობა დასკვნების ჩამოსაყალიბებლად;
- სწავლის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება, საჭიროებისამებრ, ახალი ცოდნის ათვისების და გამოყენების უნარი.

შეფასების სისტემა:

სასწავლო კომპონენტის შეფასება წარმოებს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

ხელმძღვანელი: ვახტანგ ბალავაძე vakhtang.balavadze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი: გვანცა ლორთქიფანიძე gvantsa.lortkipanidze@iliauni.edu.ge

პროგრამის დასახელება: **სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამოქალაქო ინჟინერიის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 8 სემესტრი, 252 კრედიტი

სწავლების ენა: ინგლისური

პროგრამის მიზანი:

ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო ინჟინერიის პროგრამის მისიაა მოამზადოს სტუდენტები მათ მიერ არჩეულ სპეციალიზაციაში კარიერული მოღვაწეობისათვის. პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ხარისხიანი სწავლება, საკონსულტაციო სერვისები და სტუდენტთა მხარდაჭერა/დახმარება, რათა მათ შეძლონ თავიანთი მიზნების მიღწევა, ცოდნისა და გამოცდილების შეძენა, რომელიც საჭიროა სამოქალაქო ინჟინერიის მეტად მოთხოვნად დარგში წარმატების მისაღწევად.

სამოქალაქო ინჟინერიის პროგრამის საგანმანათლებლო მიზნები მჭიდრო კავშირშია უნივერისტეტის მისიასთან - შექმნას, გადასცეს და გამოიყენოს ახალი ცოდნა ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების საკეთილდღეოდ. სამოქალაქო ინჟინერია სრულიად ორიენტირებულია საზოგადოების ცხოვრების ხარისხისა და სტანდარტების გაუმჯობესებაზე. პროგრამა გამოირჩევა ინტერნაციონალიზაციის მაღალ ხარისხით, რაც უზრუნველყოფილია პროგრამის საერთაშორისო ფოკუსით, პროგრამაში როგორც საერთაშორისო სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობით.

ეს პროგრამა ეფუძნება ინტერდისციპლინურ მიდგომას და ორიენტირებულია ჩამოაყალიბოს ჰოლისტურად მოაზროვნე, პრობლემის გადაჭრის უნარის მქონე, ლიდერობის უნარებით აღჭურვილი სტუდენტები სამოქალაქო ინჟინერიის ისეთ დარგებში, როგორიცაა წყლის, ტრანსპორტის, სტრუქტურული და გეოტექნიკური ინჟინერია. პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, მენეჯერული უნარების განვითარების მიზნით, აირჩიონ ბიზნესის ადმინისტრირების კურსები, რაც ხელს შეუწყობს მათ წარმატებულ პროფესიულ კარიერას.

მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის საფუძვლებისა და დამატებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებების არჩევითი კურსების შემდგომ, სტუდენტებისთვის პროგრამით შეთავაზებული იქნება დარგობრივი სასწავლო კომპონენტები. პროგრამა ისეა აგებული, რომ უზრუნველყოს პრაქტიკული და თეორიული ცოდნისა და უნარების შეკავშირება სამოქალაქო ინჟინერიის სფეროში. პროგრამის კურსდამთავრებულები იქნებიან კონკურენტუნარიანი პროფესიონალები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ პროექტის და საინჟინრო დიზაინის, ასევე მენეჯმენტის მიმართულებებით. მათ ასევე ექნებათ შესაძლებლობა სწავლა გააგრძელონ სამაგისტრო საფეხურზე.

ამასთანავე, პროგრამა ორიენტირებულია ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორიცაა ეფექტური ზეპირი და წერითი კომუნიკაცია სულ მცირე ერთი უცხო ენის გამოყენებით, რაც სტუდენტებს განუვითარებს მულტიკულტურული გამოცდილებას/ცნობიერებას. გვაქვს მოლოდინი, რომ ჩვენი კურსდამთავრებულები გამოიყენებენ ამ უნარებს ნებისმიერ სექტორში, რომელშიც არ უნდა გააგრძელონ თავიანთი კარიერა, იქნება ეს კერძო, საჯარო თუ საგანმანათლებლო სექტორი.

სწავლის შედეგები:

სამოქალაქო ინჟინერიის პროგრამი გათვალისწინებულია შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევა:

- ინჟინერიის, მეცნიერების და მათემატიკის პრინციპების გამოყენებით ინჟინერიის კომლექსური პრობლემების იდენტიფიცირების, განსაზღვრის და გადაჭრის უნარი;
- საინჟინრო დიზაინის გამოყენებით კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული ისეთი გადაწყვეტილების მიღების უნარი, რომელშიც გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის, ასევე გლობალური, კულტურული, სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ფაქტორები;
- ფართო საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- საინჟინრო სიტუაციებში ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის გაცნობიერებისა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საინჟინრო გადაწყვეტილების ზეგავლენას გლობალურ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ კონტექსტებზე;
- გუნდში ეფექტური ფუნქციონერობის უნარით, რომლის წევრები ერთობლივად მართავენ გუნდს, ქმნიან კოლაბორაციულ და ინკლუზიურ გარემოს, განსაზღვრავენ ამოცანებს, გეგმავენ განსახორციელებელ საქმიანობას/დავალებებს და აღწევენ მიზნებს;
- უნარი მოამზადოს და ჩაატაროს შესაბამისი ექსპერიმენტი, გაანალიზოს და ინტერპრეტაცია გაუკეთოს მონაცემებს, გამოიყენოს ინჟინრული მსჯელობა დასკვნების ჩამოსაყალიბებლად;
- სწავლის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება, საჭიროებისამებრ, ახალი ცოდნის ათვისების და გამოყენების უნარი.

შეფასების სისტემა:

სასწავლო კომპონენტის შეფასება წარმოებს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი
(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

ხელმძღვანელი: ვახტანგ ბალავაძე vakhtang.balavadze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი: გვანცა ლორთქიფანიძე gvantsa.lortkipanidze@iliauni.edu.ge

ტექნოლოგიის სკოლა

სამაგისტრო პროგრამები

პროგრამის დასახელება: **თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: არქიტექტურის მაგისტრი/Master of Architecture

პროგრამის მოცულობა: 4 სემესტრი, 120 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი:

თანამედროვე არქიტექტურისა და მდგრადი განვითარების სამაგისტრო პროგრამა ემსახურება ინოვაციური მიდგომების განვითარებას, ინდივიდუალური ნიჭის თუ შემოქმედებითი უნარის გაფართოებას/გაღრმავებას და თანამდეროვე არქიტექტორულ პრაქტიკაში მდგრადი განვითარების პრინციპების ფართო გამოყენების ხელშეწყობას.

პროგრამის მიზანია, გაზარდოს კონკურენტუნარიანი არქიტექტორების ახალი თაობა, რომელიც:

- აღჭურვილი იქნება მდგრადი არქიტექტურის თანამედროვე კონცეფციების, თეორიების, მეთოდებისა და უახლესი ტენდენცების/დისკურსის შესახებ სიღრმისეული ცოდნით;
- შეძლებს კვლევის საფუძველზე არქიტექტურული პროექტის დამოუკიდებლად შესრულებას მდგრადი განვითარების პრინციპების, ტენდენციების, არქიტექტურული სტანდარტების და სხვადასხვა ფაქტორების (მათ შორის კლიმატური, სოციალური, ეკონომიკური, გარემოს დაცვითი, კულტურული) გათვალისწინებით;
- როგორც სტუდიურ, ასევე რეალურ სამუშაო გარემოში შეძლებს შესაბამისი კონტექსტების კვლევისა და ფაქტორების ანალიზით მიღებული მომიჯნავე სპეციალობების ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის შემოქმედებით ინტეგრირებას ორიგინალურ პრაქტიკულ არქიტექტურულ გადაწყვეტილებებში;
- მზად იქნება დამოუკიდებელი არქიტექტურული საქმიანობისთვის პროფესიული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად.

სწავლის შედეგები:

პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

- ავლენს სიღრმისეულ ცოდნას დარგში არსებული ძირითადი კონცეფციების, თეორიებისა და თანამედროვე დისკურსის შესახებ და აცნობიერებს მათ კავშირს არქიტექტურულ დიზაინთან და პრაქტიკასთან;
- შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს ორიგინალური არქიტექტურული პროექტი საწყისი სტადიიდან საბოლოო სტადიამდე, რელევანტური მეთოდების გამოყენებით, ჰუმანიტარული, სოციალური, ეკონომიკური, გარემოს დაცვითი, კულტურული კონტექსტების კვლევისა და

კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, კონცეპტუალური, ფუნქციურ-ტექნოლოგიური, სივრცული, ტექნიკური, ერგონომიკული და ესთეტიკური ფაქტორების გათვალისწინებით ;

- არქიტექტორის პროფესიის მნიშვნელობის და საზოგადოებაში არქიტექტორის როლის გააზრებით ახორციელებს არქიტექტურულ საქმიანობას, რომლის დროსაც ითვალისწინებს დამკვეთისა და მომხმარებლის ინტერესებს, იცავს შესაბამის სამართლებრივ რეგულაციებსა და პროფესიულ ეთიკას და აცნობიერებს არქიტექტურულ საქმიანობასა და სამშენებლო ინდუსტრიასთან დაკავშირებულ ბიზნეს პროცესებს;
- ავლენს სისტემურ ცოდნას არქიტექტურული ნაგებობების გარემოზე ზემოქმედების შემცირების თანამედროვე სტრატეგიებისა და კონცეფციების შესახებ და არჩევს მასალებს არა მხოლოდ მათი ესთეტიკური მახასიათებლების, არამედ გარემოზე მათი პოტენციური ზეგავლენის გათვალისწინებით;
- პროექტში ერთ ფუნქციონირებად მთლიანობად აერთიანებს კონსტრუქციულ, საკომუნიკაციო, საინჟინრო და უსაფრთხოების სისტემებს;
- დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიურ, პროფესიულ და ფართო საზოგადოებასთან) კომუნიკაციისთვის, ეფექტიანად იყენებს ვიზუალურ, წერილობით, ზეპირ მეთოდებსა და მედიის შესაძლებლობებს;
- შეუძლია ეფექტურად მუშაობა ავტონომიურად და მულტიდისციპლინურ გუნდში და კრიტიკული რეფლექსია საკუთარი შედეგების შესახებ.

შეფასების სისტემა:

სასწავლო კომპონენტის შეფასება წარმოებს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი
(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

ხელმძღვანელი: ია კუპატაძე ia.kupatadze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი: გვანცა ლორთქიფანიძე gvantsa.lortkipanidze@iliauni.edu.ge

პროგრამის დასახელება: **თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებები**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მათემატიკის მაგისტრი/Master in Mathematics

პროგრამის მოცულობა: 4 სემესტრი, 120 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი:

სამაგისტრო პროგრამის "თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებები" მიზანია, მოამზადოს კონკუტენტუნარიანი კურსდამთავრებულები წარმატებული პროფესიული კარიერისთვის ან სწავლის შემდგომი საფეხურისთვის, რომლებსაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა თანამედროვე მათემატიკის მნიშვნელოვანი, უნივერსალური და ფართოდ გამოყენებადი პარადიგმების, კონცეფციებისა და მეთოდების შესახებ; შეძლებენ მათემატიკის არჩეულ სფეროში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას; დაუფლებულნი იქნებიან მათემატიკის გამოყენებით ასპექტებს, რაც გულისხმობს განზოგადებისა და აბსტრაგირების გზით აქტუალური ამოცანების გადაწყვეტისათვის საჭირო მიდგომების გამომუშავებას.

სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს აქვს:

- თანამედროვე მათემატიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი, უნივერსალური და ფართოდ გამოყენებადი შედეგების, პარადიგმებისა და მეთოდების ღრმა და სისტემური ცოდნა;
- აქტუალურ ამოცანათა ფართო სპექტრის (მათ შორის, პრაქტიკული ხასიათის ამოცანების) ამოსახსნელად მათემატიკური მეთოდების გამოყენებისა და მათემატიკური მოდელების შექმნის და გამოკვლევის უნარი;
- კვლევის შერჩეულ სფეროში არსებული ცოდნის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე საკვლევი თემატიკის შერჩევის, კვლევის პროცესის დაგეგმვის, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებისა და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე მათემატიკური იდეების, კონტექსტის, საკუთარი არგუმენტებისა და დასკვნების კომუნიკაციის უნარი როგორც ზეპირად, ასევე წერილობით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
- ავტონომიურად მოქმედების უნარი სწავლებისა და კვლევის პროცესში და ავლენს საკუთარ მეცნიერულ ხედვასა და პროფესიულ დამოკიდებულებას.

შეფასების სისტემა:

სასწავლო კომპონენტის შეფასება წარმოებს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

ხელმძღვანელი: გიორგი ხიმშიაშვილი giorgi.khimshiashvili@iliauni.edu.ge

კოორდინატორი: გვანცა ლორთქიფანიძე gvantsa.lortkipanidze@iliauni.edu.ge

პროგრამის დასახელება: **პროგრამული ინჟინერია**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პროგრამული ინჟინერიის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 4 სემესტრი, 120 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი:

სამაგისტრო პროგრამის: „პროგრამული ინჟინერია“ მიზანია, მოამზადოს დარგის მზარდ მოთხოვნებზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი პროფესიონალი, რომელიც პასუხობს სფეროში არსებულ გამოწვევებს და ღრმა და სისტემური თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე:

- შეუძლია სხვადასხვა სფეროში არსებული გამოწვევის/პრობლემის ეფექტურად გადასაჭრელად კომპლექსური პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების დამოუკიდებლად შემუშავება, განვითარება, ტესტირება, შეფასება და ინოვაციური მეთოდებით მართვა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე;

- შეუძლია პროფესიული დარგის განვითარებაში წვლილის შეტანა, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება და შედეგების დაცვა/დასაბუთება ეთიკური ღირებულებების და სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს:

- აქვს პროგრამული ინჟინერიის უახლესი თეორიების, პროგრამების, მართვის მეთოდოლოგიებისა და საერთაშორისო სტანდარტების ღრმა და სისტემური ცოდნა;
- აქვს პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების დიზაინის შემუშავების, პროგრამების ტესტირების, ვერიფიკაცია-ვალიდაციის, განვითარების, დანერგვის და მართვის უნარი;
- აქვს უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით პროგრამული ინჟინერიის დარგში არსებული პრობლების/გამოწვევის ანალიზის, შეფასების და პროგრამული უზრუნველყოფის სანდო, ეფექტიანი და ინოვაციური გადაწყვეტილების შემუშავების უნარი;
- აქვს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით საკუთარი დასკვნების, დასაბუთებული არგუმენტებისა და კვლევის შედეგების წარდგენის უნარი აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე, როგორც ვერბალურად, ისე წერილობით, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით;
- შეუძლია დარგისთვის რელევანტური უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის, კვლევებისა და ახალი ტექნოლოგიური მიღწევების მოძიება და შესწავლა საკუთარი პროფესიული განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე.

შეფასების სისტემა:

სასწავლო კომპონენტის შეფასება წარმოებს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი

(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი
(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

ხელმძღვანელი: შოთა ცისკარიძე shota.tsiskaridze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი: ანა კვარაცხელია ana.tchrelashvili@iliauni.edu.ge

ტექნოლოგიის სკოლა

სადოქტორო პროგრამა

პროგრამის დასახელება: **მათემატიკა**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მათემატიკის დოქტორი/PhD in Mathematics

პროგრამის მოცულობა: 6-10 სემესტრი, 48 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი:

მათემატიკის სადოქტორო პროგრამის მიზანია ახალი თაობის მკვლევარების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ალგებრის, გეომეტრიის, ტოპოლოგიის, დიფერენციალური განტოლებების, მათემატიკური ფიზიკისა და უწყვეტ გარემოთა მექანიკის მიმართულებებიდან ერთ-ერთის ფუნდამენტური ან ინტერდისციპლინური პრობლემების ინოვაციურ კვლევას მათემატიკის უახლესი მეთოდოლოგიის გამოყენებით და შექმნილი ახალი ცოდნის ვალიდაციას საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში პუბლიკაციის გზით.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს:

- მათემატიკის ერთ-ერთი მიმართულების (ალგებრა, გეომეტრია, ტოპოლოგია, დიფერენციალური განტოლებები, მათემატიკური ფიზიკისა და უწყვეტ გარემოთა მექანიკა) ფარგლებში ცოდნის გაფართოების უნარი ფუნდამენტური ან ინტერდისციპლინური პრობლემების გადაჭრის მიზნით ინოვაციური კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების გზით;
- მათემატიკის სფეროში ახალი ცოდნის გავრცელების უნარი საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციების საშუალებით;
- ცოდნის ტრანსფერის უნარი სააუდიტორიო სწავლების პროცესში;
- სამეცნიერო კომუნიკაციის უნარი აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით;
- უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების შექმნისა და კვლევის შემდგომი პროცესების განვითარების უნარები.

შეფასების სისტემა:

სასწავლო კომპონენტის შეფასება წარმოებს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

ხელმძღვანელი: გიორგი ხიმშიაშვილი giorgi.khimshiashvili@iliauni.edu.ge

კოორდინატორი გვანცა ლორთქიფანიძე gvantsa.lortkipanidze@iliauni.edu.ge

განათლების სკოლა

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის დასახელება: **დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (I-VI კლასები)**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **განათლების მაგისტრი / MA in Education**

პროგრამის მოცულობა: 300 კრედიტი (10 სემესტრი)

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, მოამზადოს დაწყებითი საფეხურის (1-6 კლასი) ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმინობისათვის შესაბამისი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ღირებულებები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს.
პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებაზე, რაც დაეხმარება მათ, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაზე დაფუძნებით, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და პროფესიულ განვითარებაში.
ამასთან, პროგრამა მიმართულია მასწავლებლისათვის აუცილებელი ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორიც არის ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე, რაოდენობრივი მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების უნარი, გუნდში ეფექტურად მუშაობის უნარი, პრობლემის იდენტიფიცირების, მისი ავტონომიურად და ეფექტურად გადაჭრის უნარი.
პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისი საფეხურის საგნობრივ ნაწილთან და უფროსი მასაწვლებლისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება
პროგრამის კურსდამთავრებულს:

- აქვს დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის (1-6 კლასი) პროფესიული სტანდარტის საგნობრივი ნაწილის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა;
- იცის პიროვნების, განვითარებისა და განათლების ძირითადი თეორიები. აცნობიერებს სასწავლო პროცესში მათი გამოყენების მნიშვნელობას თითოეული მოსწავლის ფიზიკური,

სოციალურ-ემოციური თუ კოგნიტური განვითარებისთვის ხელშემწყობი უსაფრთხო, თავისუფალი და მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შესაქმნელად;

- იცის მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით;
- იცნობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიკაციისა და უნივერსალური დიზაინის შექმნის ძირითად პრინციპებს და იცის როგორ უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა, სასწავლო პროცესში მათი ჩართვა და კლასში ინტეგრაცია;
- აცნობიერებს კლასგარეშე საქმიანობის როლსა და მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების, სწავლისა და მრავლმხრივი განვითარებისათვის;
- იცის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დაგეგმვის, წარმართვისა და ანალიზის ძირითადი მიდგომები და აცნობიერებს კვლევის შედეგების გამოყენების აუცილებლობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

პროგრამის კურსდამთავრებულს:

- შეუძლია საგნობრივი ცოდნის ეფექტიანად გამოყენება სწავლებისას;
- შეუძლია პიროვნების, განვითარებისა და განათლების თეორიების ცოდნის ეფექტიანად გამოყენება თითოეული მოსწავლის ფიზიკური, სოციალურ-ემოციური თუ კოგნიტური განვითარებისთვის ხელშემწყობი უსაფრთხო, თავისუფალი და მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შესაქმნელად;;
- შეუძლია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შემუშავება, მათზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის წარმართვა და შეფასება;
- დადებითი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნისა და სსსმ მოსწავლეთა სოციალურ-ემოციური თუ კოგნიტური განვითარების მიზნით შეუძლია თანამშრომლობა სპეციალურ მასწავლებელთან და მასთან კონსულტაციით ან/და შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და გამოყენება;
- შეუძლია კლასგარეშე საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლია შესაბამისი კვლევის მეთოდის შერჩევა, კვლევის ჩატარება, კვლევის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და მათი ეფექტიანობის შეფასება.

დასკვნის გაკეთების უნარი

პროგრამის კურსდამთავრებულს:

- საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეუძლია გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები, მოახდინოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და შეიმუშაოს შესაბამისი სტრატეგიები სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურობის გაზრდისა და საკუთარი პროფესიული განვითარების მიზნით;

- შეუძლია განათლების მეცნიერებაში არსებული ტენდენციებისა და სამეცნიერო დისკუსიების ანალიზი და კრიტიკული შეფასება.

სწავლის უნარი

პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

- აქვს უნარი, როგორც მშობლიურ, ასევე ინგლისურ ენაზე მოიძიოს, აითვისოს და გამოიყენოს განათლების მეცნიერებაში ახალი ცოდნა, ტენდენციები და თანამედროვე კვლევები მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად, საკუთარი პროფესიული განვითარებისათვის და სკოლის პრაქტიკის სრულყოფისთვის.

კომუნიკაციის უნარი

პროგრამის კურსდამთავრებულს:

- შეუძლია მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან, თემთან ეფექტური კომუნიკაცია და საქმიანი თანამშრომლობა მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად, პოზიტიური გარემოს ჩამოსაყალიბებლად და საკუთარი და კოლეგების პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად.
- შეუძლია როგორც წერითი, ასევე ზეპირი კომუნიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე აკადემიური და ეთიკური სტანდარტების დაცვით;
- კომუნიკაციისას შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება.

ღირებულებები

პროგრამის კურსდამთავრებული:

- გაცნობიერებული აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების მნიშვნელობა მასწავლებლის პროფესიისთვის;
- აცნობიერებს კვლევაზე დაფუძნებით პრაქტიკის სრულყოფის მნიშვნელობას;
- აცნობიერებს განათლების ინკლუზიურობის მნიშვნელობას პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნისთვის;
- აცნობიერებს კოლეგებთან გამოცდილების ურთიერთგაზიარების მნიშვნელობას;
- აცნობიერებს პროფესიული ეთიკის წესების მნიშვნელობას და იცავს მათ.

შეფასების სისტემა:

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი
(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირი:

სოფიკო ლობჟანიძე sopiko_lobjanidze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი:

ანი ჩავლეიშვილი ani.chavleshvili@iliauni.edu.ge

განათლების სკოლა

სამაგისტრო პროგრამები

პროგრამის დასახელება: **განათლების ადმინისტრირება**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **განათლების ადმინისტრირების მაგისტრი / Master of Education Administration.**

პროგრამის მოცულობა: **120 კრედიტი, 4 სემესტრი**

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს ზოგადი ან უმაღლესი განათლების სექტორის პროფესიონალი, რომელიც:

- კვლევის შედეგების საფუძველზე უზრუნველყოფს განათლების პროცესების მართვას და საგანმანათლებლო პროცესების ტრანსფორმაციას;
- აღჭურვილია განათლების სექტორში ლიდერისთვის საჭირო კომპეტენციებით და მოქმედებს პროფესიული და აკადემიური ეთიკის პრინციპების დაცვით;
- დამოუკიდებლად ავითარებს საკუთარ პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებული / კურსდამთავრებულს:

1. შეუძლია კრიტიკულად გააანალიზოს და შეაფასოს არსებული თეორიები და კვლევები, რომლებიც ეხება ზოგადი ან უმაღლესი განათლების ადმინისტრირების და ლიდერობის საკითხებს და გამოიყენოს ის ორგანიზაციის გამოწვევებისა და მიზნების საპასუხოდ;
2. ორგანიზაციის სტრატეგიული პრიორიტეტების, შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებითა და დამოუკიდებლად განხორციელებული კვლევის შედეგების საფუძველზე, შეუძლია საგანმანათლებლო ორგანიზაციებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, მათი კრიტიკული ანალიზი, გადაჭრის გზების განსაზღვრა საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე ცვლილებების საპასუხოდ;

3. შეუძლია მართოს ორგანიზაციული პროცესები და ხელი შეუწყოს ორგანიზაციასა და დაინტერესებულ მხარეს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარებას;
4. შეუძლია სწავლა-სწავლების პროცესების დაგეგმვა, ეფექტიანი მართვა და, საჭიროების შემთხვევაში, მათი ტრანსფორმაცია საგანმანათლებლო ორგანიზაციის, მისი შემადგენელი ერთეულის თუ საგანმანათლებლო პროგრამის/ინიციატივის დონეზე;
5. წარმართავს საკუთარ აკადემიურ და პროფესიულ საქმიანობას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და ეთიკური ნორმების დაცვით და წაახალისებს ეთიკური გარემოს შექმნას როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ სივრცეში;
6. საკუთარი პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირების საფუძველზე, შეუძლია საკუთარი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და განხორციელება.

შეფასების სისტემა:

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი
(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირი:
ელენე ჯიბლაძე elene.jibladze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი:
ელენე გაბისონია elene.gabisonia@iliauni.edu.ge

პროგრამის დასახელება: **სპეციალური განათლება** *(ხორციელდება მილევად რეჟიმში)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **სპეციალური განათლების მაგისტრი**

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი, 4 სემესტრი

პროგრამის მიზანი:
პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალური განათლების სპეციალისტი, რომელიც მულტიდისციპლინური თანამშრომლობის გზით უზრუნველყოფს ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესის მართვასა და გარემოს მოწყობას პიროვნებისა და ჯგუფის საჭიროების შესაბამისად.
პროგრამა მიმართულია სტუდენტებში კომპლექსური თეორიული ცოდნის შეძენასა და პრაქტიკული უნარების უზრუნველყოფაზე.
პროგრამის პრიორიტეტია სტუდენტებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პიროვნებისა და ჯგუფის განათლების ეფექტური სტრატეგიების სწავლება და სპეციალური და ინკლუზიური განათლების კვლევა.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება
კურსდამთავრებულმა / კურსდამთავრებულს:

- იცის სპეციალური და ინკლუზიური განათლების ისტორიული, ფილოსოფიური და სამართლებრივი წანამძღვრები და თანამედროვე მიდგომები;
- აქვს სისტემური ცოდნა სხვადასხვა სახის დარღვევის და თანმხლები საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ;
- იცის ბაზისური აკადემიური უნარების განვითარების ინდივიდუალური და ჯგუფური მეთოდები/სტრატეგიები და დამხმარე ტექნოლოგიები;
- იცნობს სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპებს;
- იცის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის სახეები;
- იცის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების სპეციფიკა;
- აქვს ცოდნა სასწავლო პროცესის დაგეგმვის, მართვის და მისი ეფექტიანობის შეფასების თანამედროვე მიდგომებისა და ინსტრუმენტების შესახებ;
- აქვს კომპლექსური ცოდნა განათლების თეორიების, ასაკობრივი განვითარების, განათლების ფსიქოლოგიისა და პიროვნებისა და ჯგუფის განათლებასა და განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების შესახებ;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
კურსდამთავრებული / კურსდამთავრებულს:

- იყენებს ჯგუფისა და პიროვნების სწავლების ეფექტურ სტრატეგიებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებს;
- შეუძლია საგანმანათლებლო გარემოს შეფასება და მისი მორგება პიროვნებისა და ჯგუფის საგანმანათლებლო საჭიროებებებზე;
- შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა, მისი ეფექტიანობის შეფასება, მტკიცებულებებზე და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით;

- სპეციალური მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით შეუძლია სხვადასხვა საგანმანათლებლო გარემოს კონტექსტში პიროვნების და ჯგუფის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიცირება დიფერენცირებული მიდგომის დანერგვის მიზნით;

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს:

- შეუძლია პრობლემული საკითხების აღმოჩენა და მათი გადაჭრის გზების ინიცირება, მონაცემების შეგროვების, მათი კრიტიკული ანალიზის, ინტერპრეტაციისა და ინოვაციური სინთეზის საფუძველზე;
- შეუძლია მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება პიროვნებისა და ჯგუფის საგანმანათლებლო პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის მიზნით;
- შეუძლია საკუთარი და სხვადასხვა სპეციალისტის მიერ ჩატარებული მოსწავლის შეფასების შედეგების გამოყენება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პიროვნებისა და/ან ჯგუფის საგანმანათლებლო პროცესების უზრუნველყოფის მიზნით;

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს:

- საკუთარი პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირების საფუძველზე შეუძლია პროფესიული განვითარების დაგეგმვა და განხორციელება;
- შეუძლია სასწავლო რესურსების მოძიება და დამუშავება, ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განახლება-განვითარებისთვის;

კომუნიკაციის უნარი

კურსადამთავრებულს:

- აკადემიური სტილის დაცვით, შეუძლია საკუთარი აზრის ნათლად და არგუმენტირებულად ჩამოყალიბება;
- საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა და ჯგუფის განათლების პროცესში და ამ პროცესის ადვოკატირებისას იყენებს ეთიკურ და საერთაშორისოდ აღიარებულ ტერმინოლოგიას;
- შეუძლია მედია-საკომუნიკაციო საშუალებების, ციფრული საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ეფექტიანი თანამშრომლობისა და ინტერაქციისათვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პიროვნებებთან, კოლეგებთან, მშობლებთან (სხვა კანონიერ წარმომადგენლებთან);

ღირებულებები

კურსდამთავრებული / კურსდამთავრებულს:

- ეთიკური ნორმების გათვალისწინებით ახდენს პიროვნებისა და ჯგუფის განათლების უფლების დაცვასა და ადვოკატირებას ყველა დონეზე;
- შეუძლია შექმნას ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციისგან თავისუფალი და ურთერთპატივისცემაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო გარემო;
- გაცნობიერებული აქვს ოჯახის წევრების და კოლეგების კონსულტირების მნიშვნელობა და სპეციფიკა;

შეფასების სისტემა:

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი
(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირი:
თინათინ ჭინჭარაული tinatin.chincharauli@iliauni.edu.ge
ნინო გოგიჩაძე nino.gogichadze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი:
ელენე გაბისონია elene.gabisonia@iliauni.edu.ge

განათლების სკოლა

სადოქტორო პროგრამა

სადოქტორო პროგრამის დასახელება: **განათლების სადოქტორო პროგრამა**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **განათლების დოქტორი (PhD in Education)**

პროგრამის მოცულობა: 3-5 წელი (6-10 სემესტრი, 180 კრედიტი)

პროგრამის მიზანი:
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა მოიცავს განათლების სექტორის სხვადასხვა სფეროს კვლევით ინტერესებს. მისი მიზანია ცოდნისა და კვლევის დაკავშირება და ამ გზით ახალი ცოდნის შექმნა. პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, აძლიერებს კვლევით სფეროსა და უნივერსიტეტის რეგიონულ და საერთაშორისო როლს.
სადოქტორო პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს განათლების კონკურენტუნარიანი მკვლევრები, რომლებსაც შეუძლიათ განათლების სფეროში არსებული გამოწვევების კვლევა განათლების მეცნიერებასა და მის მომიჯნავე დისციპლინებში არსებული ცოდნის სინთეზით;
- შექმნას ახალი, ინტერდისციპლინალურ მიდგომებზე დამყარებული ცოდნა განათლების სფეროში არსებული გამოწვევების ირგვლივ;
- განათლების პოლიტიკის/საგნის დიდაქტიკის, როგორც დარგის განვითარებაში წვლილის შეტანა აქტუალურ დარგობრივ დისკუსიებზე დაყრდნობით;
- უმაღლესი სკოლისათვის აკადემიური კადრების მომზადება;
- დოქტორანტთა, როგორც მკვლევართა ხელშეწყობა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებისათვის.

სწავლის შედეგები:
ცოდნა და გაცნობიერება
პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს:

- უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა განათლების პოლიტიკის /დიდაქტიკის მიმართულებით, მათი თეორიული და გამოყენებითი ასპექტების და სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა;
- საგანმანათლებლო კვლევის უახლესი მეთოდების ცოდნა, რაც მისცემს მას საშუალებას აწარმოოს რელევანტური კვლევები განათლების პოლიტიკის/ დიდაქტიკის მიმართულებით ინოვაციური ინტერდისციპლინური მიდგომებისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით;
- კურსდამთავრებული აცნობიერებს დიდაქტიკის/განათლების პოლიტიკის სფეროში აქტუალური საკითხების შესახებ არსებული ცოდნის ხელახალი გააზრების საჭიროებას და ახალი ცოდნის შექმნის შესაძლებლობებს განათლების კვლევებში ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- დიდაქტიკის/განათლების პოლიტიკის აქტუალური საკითხების შესახებ მსჯელობა და ანალიზი სხვადასხვა თეორიის ჭრილში როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კონტექსტში;
- კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული;
- დიდაქტიკის/განათლების პოლიტიკის დარგში ინოვაციური კვლევის სრული ციკლის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით და კვლევის შედეგების ასახვა საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
- ორგანიზაციულ და/ან სისტემის დონეზე განათლების საკითხებზე ახალი ცოდნის გავრცელება მიმდინარე ადგილობრივ და საერთაშორი სოსამეცნიერო დისკუსიაში ჩართვით;
- საკუთარი აკადემიური საქმიანობის დამოუკიდებლად შეფასება, ანალიზი და მისი გაუმჯობესებისთვის საჭიროებების/შესაძლებლობების განსაზღვრა.

დასკვნის უნარი

პროგრამის კურსდამთავრებულს:

- შეუძლია ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზის და შეფასების საფუძველზე ახალი კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარება განათლების დიდაქტიკის ან განათლების პოლიტიკის სფეროში;
- პრობლემის გადასაჭრელად შეუძლია ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება ახალი ცოდნის შექმნის მიზნით.

კომუნიკაციის უნარი

პროგრამის კურსდამთვრებულს:

- აქვს დარგში არსებულ ცოდნასთან მიმართებაში ახალი ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენის უნარი;
- აქვს მშობლიურ და ინგლისურ ენაზე სამეცნიერო კომუნიკაციის უნარი აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
- კომუნიკაციისას, ეფექტურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

სწავლის უნარი

პროგრამის კურსდამთავრებული:

- დარგში არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე, განსაზღვრავს საკუთარ სასწავლო და კვლევით საჭიროებებს;
- მზადაა განავითაროს ახალი იდეები და პროცესები საკვლევ სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნისა და მეთოდოლოგიის საფუძველზე სწავლისა და კვლევის პროცესში;
- ეფექტურად მართავს დროსა და რესურსებს.

ღირებულებები

- ხელს უწყობს განათლების, როგორც ღირებულების დამკვიდრებას საზოგადოებაში;
- იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპს და ხელს უწყობს მის დამკვიდრებას საუნივერსიტეტო სივრცეში;
- პატივს სცემს კოლეგების აზრს და კვლევების ჩატარებისას იცავს სამეცნიერო ეთიკის ნორმებს.

შეფასების სისტემა:

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი
(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შეფასება მიმდინარეობს შემდეგი სისტემით:
ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

„ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭებადოქტორის აკადემიური ხარისხი.
„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.
„ზ“ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

საკონტაქტო პირი:
მარიკა კაპანაძე marika_kapanadze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი:
ელენე გაბისონია elene.gabisonia@iliauni.edu.ge

მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამები (სასერტიფიკატო)

სასერტიფიკატო პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე / უცხო ენა)

პროგრამის მოცულობა: 1 წელი (60 კრედიტი)

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს საბაზო და საშუალო საფეხურის (უცხო ენების მასწავლებლის მიმართულების შემთხვევაში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის) მასწავლებელი, რომელსაც ექნება შესაბამისი საგნის სწავლებისათვის საჭირო ცოდნა და უნარები. 4 პროგრამის მიზნები და შედეგები შესაბამისობაშია მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ წარჩინებული მასწავლებლის მოთხოვნებთან.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება (საერთო ყველა მიმართულებისთვის)

პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულმა:

- იცნობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და ეროვნული სასწავლო გეგმას და აცნობიერებს მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მათზე დაფუძნების აუცილებლობას;
- იცნობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების ძირითად პრინციპებს და იცის როგორ შექმნას ინკლუზიური სასწავლო გარემო;
- იცის მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის როგორც გრძელვადიანი ასევე მოკლევადიანი დაგეგმვა და აცნობიერებს დაგეგმვის აუცილებლობას;
- იცის განვითარებისა და განათლების ძირითადი თეორიები და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისას;
- იცის სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი და ინოვაციური სტრატეგიები და მათი გამოყენების შესაძლებლობები;
- იცის შეფასების ტიპები და მეთოდები.
- საკუთარი პროფესიული განვითარების, სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით იცის მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების მეთოდები;
- იცის სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორები და აცნობიერებს თანამშრომლობითი გარემოს მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში;
- იცის კლასის მართვისა და კონფლიქტების მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიები;
- იცის პედაგოგიური პრაქტიკის შეფასებისა და ანალიზის ძირითადი მიდგომები და აცნობიერებს შეფასების შედეგების გამოყენების მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში;
- იცის სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები;
- აცნობიერებს კლასგარეშე საქმიანობის როლსა და მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციის, სწავლისა და მრავალმხრივი განვითარებისათვის;

ცოდნა და გაცნობიერება (ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებისთვის):

კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულმა:

- იცის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამისა და მასწავლებლის სტანდარტის მოთხოვნები;
- იცნობს მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მიდგომებსა და სტრატეგიებს. აცნობიერებს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს;
- აცნობიერებს ენის ინტეგრირებული სწავლების პრინციპებს;
- აცნობიერებს ენის ძირითადი სამეტყველო უნარების (მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის) მნიშვნელობას მოსწავლის ენობრივი კომპეტენციების განვითარების პროცესში;
- აცნობიერებს ქართული ლიტერატურის როლს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გააზრებაში;
- აცნობიერებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების როლს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაში;
- აცნობიერებს ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების მნიშვნელობას ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლების პროცესში;
- იცნობს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას ცოდნის შეფასების კომპონენტებს და ფორმებს;
- აცნობიერებს კლასგარეშე (ექსტრაკურიკულარული) აქტივობების როლსა და მნიშვნელობას ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და მრავალმხრივი განვითარებისთვის;

ცოდნა და გაცნობიერება (მათემატიკის მიმართულებისთვის):

კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულმა:

- იცის ეროვნული სასწავლო გეგმის მათემატიკის საგნობრივი პროგრამისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნები;
- იცის მათემატიკის სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი და ინოვაციური სტრატეგიები, აცნობიერებს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს;
- იცის როგორ ასწავლოს და შეაფასოს მოსწავლეთა სწავლის მიღწევები მათემატიკაში;
- აცნობიერებს ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების მნიშვნელობას მათემატიკის სწავლა- სწავლების პროცესში;
- აცნობიერებს მათემატიკის სწავლებისას კლასგარეშე საქმიანობის როლსა და მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციის, სწავლისა და მრავალმხრივი განვითარებისათვის.

ცოდნა და გაცნობიერება (საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებისთვის - ისტორია):

კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულმა:

- იცის ეროვნული სასწავლო გეგმის ისტორიის საგნობრივი პროგრამისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნები;
- იცის ისტორიის სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი და ინოვაციური სტრატეგიები, აცნობიერებს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს;
- იცის როგორ ასწავლოს და შეაფასოს მოსწავლეთა სწავლის მიღწევები ისტორიაში;
- აცნობიერებს ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების მნიშვნელობას ისტორიის სწავლა- სწავლების პროცესში; აცნობიერებს ისტორიის სწავლებისას კლასგარეშე საქმიანობის როლსა და მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციის, სწავლისა და მრავალმხრივი განვითარებისათვის.

ცოდნა და გაცნობიერება (საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებისთვის - გეოგრაფია):

კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულმა:

- იცის ეროვნული სასწავლო გეგმის გეოგრაფიის საგნობრივი პროგრამისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნები;
- იცის როგორ გამოიყენოს გეოგრაფიის მთავარი ცნებები და კვლევის სპეციფიური მეთოდები გეოგრაფიის სწავლების პროცესში;
- აცნობიერებს გეოგრაფიის როლსა და მნიშვნელობას ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევად;
- იცის გეოგრაფიის დახმარებით როგორ უნდა განუვითაროს მოსწავლეს გამჭოლი კომპეტენციები;
- იცის გეოგრაფიის სწავლისა და სწავლების სტრატეგიები, გაცნობიერებული აქვს სტრატეგიების გამოყენების სირთულეები და თავისებურებები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან;
- იცის როგორ შეაფასოს მოსწავლეთა სწავლის მიღწევები გეოგრაფიაში;
- აცნობიერებს გეოგრაფიის სწავლებისას კლასგარეშე მუშაობის როლსა და მნიშვნელობას მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარებისათვის.

ცოდნა და გაცნობიერება (საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებისთვის - სამოქალაქო განათლებია):

კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულმა:

- იცის ეროვნული სასწავლო გეგმის სამოქალაქო განათლების საგნობრივი პროგრამისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნები;
- დაუფლებულია დემოკრატიული მოქალაქეობის მთავარ ცნებებს, კონცეფციებსა და მათ შორის ინტერდისციპლინარული კავშირების სწავლების მეთოდებს;
- იცის მოქალაქეობის სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი და ინოვაციური სტრატეგიები, აცნობიერებს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს;
- იცის მოსწავლეთა მიღწევების შეფასების სხვადასხვა სტრატეგიები მოქალაქეობის სწავლებისას;
- იცის მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გავლენა მოქალაქეობის სწავლა-სწავლების პროცესზე;
- იცის პლურალისტული და მრავალპერსპექტიული მიდგომები მოქალაქეობის სწავლებისას;
- იცის დემოკრატიული მოქალაქეობის კონცეფციების ცხოვრებისეულ პრაქტიკაში გადატანის სწავლის პირობები და მეთოდები;
- აცნობიერებს მოსწავლეთა სოციალური პრაქტიკისა და დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლის ურთიერთგავლენას;
- იცის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის საჭირო ძირითადი კომპეტენციების განვითარების მეთოდები მოქალაქეობის სწავლებისას.

ცოდნა და გაცნობიერება (საერთო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებისთვის - ბიოლოგია ფიზიკა):

კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულმა:

- იცის ეროვნული სასწავლო გეგმის ბიოლოგიის ან ფიზიკის საგნობრივი პროგრამის მოთხოვნები და საბაზო და საშუალო საფეხურის ბიოლოგიის ან ფიზიკის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნები;
- იცის როგორ გამოიყენოს ბუნებისმეტყველების მთავარი ცნებები და კვლევის სპეციფიური მეთოდები სწავლების პროცესში;

- იცის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი და ინოვაციური სტრატეგიები, აცნობიერებს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს;
- იცის როგორ შეაფასოს მოსწავლეთა სწავლის მიღწევები ბიოლოგიაში ან ფიზიკაში;
- აცნობიერებს ასაკობრივი და ინდივიდუალურ თავისებურებების მნიშვნელობას ბიოლოგიის ან ფიზიკის სწავლა-სწავლების პროცესში;
- აცნობიერებს ბიოლოგიის ან ფიზიკის სწავლებისას კლასგარეშე საქმიანობის როლსა და მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციის, სწავლისა და მრავალმხრივი განვითარებისათვის;

ცოდნა და გაცნობიერება (საერთო უცხო ენების მასწავლებლის მიმართულებისთვის - ინგლისური ენა; გერმანული ენა, რუსული ენა):

კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულმა:

- იცის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უცხო ენის საგნობრივი პროგრამისა და მასწავლებლის სტანდარტის მოთხოვნები;
- იცის, რა გზა გაიარა უცხოური ენების სწავლების მეთოდებმა გრამატიკასა და თარგმანზე ორიენტირებული გაკვეთილიდან ინტერკულტურულ სწავლებამდე და იცის, რომელი მეთოდი გამოიყენოს სწავლებისას ეფექტური შედეგის მისაღებად;
- იცის ენის სისტემის ასპექტებისა (ლექსიკა, გრამატიკა, ფონეტიკა, მართლწერა) და სამეტყველო უნარ-ჩვევების (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა) სწავლა/სწავლების სტრატეგიები და ტექნიკები და აცნობიერებს მოსწავლეების უნარებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის მათ სწორად გამოყენებას;
- იცის შესასწავლი ქვეყნის კულტურის სწავლების მნიშვნელობა ენის სრულყოფილად ათვისებისას;
- იცის სავარჯიშოებისა და დავალებების ინსტრუქციების ნათლად ჩამოყალიბება/ინტერპრეტირება სამიზნე ჯგუფის ენის ფლობის დონის გათვალისწინებით და აცნობიერებს მოსწავლეთათვის ისეთი დავალებების/ამოცანების შეთავაზების მნიშვნელობას, რომლებიც ხელს უწყობენ მათი შემოქმედებითი უნარების განვითარებას;
- იცის მოსწავლის პიროვნული, კულტურული და ინტერკულტურული განვითარებისათვის სასწავლო მასალის სწორად შერჩევა როგორც დაწყებით, ისე საბაზო თუ საშუალო საფეხურზე მათი ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით;
- იცნობს შეფასების მრავალფეროვან და სპეციფიურ მეთოდებს შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შეფასებისას უცხო ენის გაკვეთილზე.
- აცნობიერებს უცხო ენის სწავლებისას კლასგარეშე საქმიანობის როლსა და მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციის, სწავლისა და მრავალმხრივი განვითარებისათვის;

ცოდნა და გაცნობიერება (ქართულის, როგორც მეორე / უცხო ენის მიმართულებისთვის):

კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულმა:

- იცის ქართულის, როგორც მეორე და/ან უცხო ენის სწავლებისას სამეტყველო უნარ-ჩვევების (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა) და ენობრივი სისტემის ასპექტების (ლექსიკა, გრამატიკა, ფონეტიკა, მართლწერა) ინტეგრირებულად სწავლების სპეციფიკა;
- იცნობს ქართულის, როგორც მეორე ენის ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსს და ქართულის, როგორც უცხო ენის ფლობის დონეების აღწერილობას საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით და იცის, თუ რა ასპექტებს უნდა მიაქციოს ყურადღება ერთი მხრივ ქართულის, როგორც მეორე ენის და მეორე მხრივ ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლებისას და რა დამატებითი მასალები შეიძლება შეიმუშავოს სასურველი შედეგების მისაღწევად;

- იცნობს ქვეყანათმცოდნეობის სწავლების ძირითად პრინციპებსა და კულტურათშორისი დიალოგის პრობლემატიკას მეორე და/ან უცხო ენის ათვისების პროცესში;
- იცის შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები და ქართულის, როგორც მეორე და/ან უცხო ენის სწავლებისას შეფასების მიზნებისა და მეთოდების განსაზღვრა;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება (საერთო ყველა მიმართულებისთვის):
კურსდამთავრებულს:

- შეუძლია განვითარებისა და განათლების თეორიების ცოდნის ეფექტიანად გამოყენება სასწავლო პროცესში;
- შეუძლია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შემუშავება;
- გაკვეთილის დაგეგმვისას შეუძლია გაითვალისწინოს შიდასაგნობრივი და საგანთა შორის კავშირები;
- სპეციალისტებთან ერთად შეუძლია სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება;
- შეუძლია, შექმნას დადებითი სასწავლო გარემო მოსწავლეების ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებებისა და მათი კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით და ხელი შეუწყოს კლასში ყველა მოსწავლის ინტეგრაციას;
- შეუძლია, მიზნობრივად გამოიყენოს სწავლისა და სწავლების ინოვაციური და სპეციფიური სტრატეგიები;
- შეუძლია მოსწავლეთა ცოდნის შეფასების მეთოდების მიზნობრივი გამოყენება მოსწავლეთა მიღწევებისა და პროგრესის შესაფასებლად;
- შეუძლია შეფასების სქემებისა და რუბრიკების შედგენა;
- შეუძლია სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და მათზე რეაგირება;
- შეუძლია მოტივაციის ამაღლების სტრატეგიების ეფექტიანად შერჩევა მოსწავლეთა ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებითა და მათი ინტერესების გათალისწინებით;
- შეუძლია კლასის მართვისა და კონფლიქტების მოგვარების შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება სასწავლო პროცესში;
- შეუძლია მოიძიოს და გამოიყენოს სასწავლო მიზნის შესაბამისი რესურსები;
- შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა/სწავლების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით;
- შეუძლია კლასგარეშე საქმიანობების დაგეგმვა მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.
- შეუძლია კოლეგებთან და მშობლებთან თანამშრომლობის მეთოდებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმების ეფექტიანად გამოყენება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება (ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებისთვის):
კურსდამთავრებულს:

- შეუძლია ეროვნული სასწავლო გეგმის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაზე დაყრდნობით მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განსაზღვრა და შესაბამისი საქმიანობის დაგეგმვა;

- შეუძლია სწავლა-სწავლების ისეთი სტრატეგიების განსაზღვრა, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებში გააზრებული და საფუძვლიანი ცოდნის შეძენასა და უნარ-ჩვევების გამომუშავება-განვითარებაზე;
- შეუძლია მიზანმიმართული აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ზოგადი ენობრივი და გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას;
- შეუძლია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ისე დაგეგმვა და წარმართვა, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ძირითადი სამეტყველო უნარების (მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის) მიზანმიმართულად და სისტემურად განვითარებას;
- შეუძლია ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას მოსწავლეთა კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინება, რათა ხელი შეუწყოს მათ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში;
- შეუძლია მოსწავლეთა სრულფასოვანი ენობრივი განვითარების მიზნით ენის ინტეგრირებული სწავლების მიდგომის გამოყენება;
- შეუძლია მოსწავლეთათვის ისეთი დავალებების/ამოცანების შეთავაზება, რომელთა გადაჭრაც ხელს შეუწყობს მაღალი დონის სააზროვნო უნარების განვითარებას;
- შეუძლია ლიტერატურული ტექსტების ანალიზის საფუძველზე ხელი შეუწყოს მოსწავლეებს მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების ჩამოალიბებას, დაეხმაროს მათ ზოგადასაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების გაცნობიერებაში, ზოგადად, კულტურული კომპეტენციების განვითარებაში;
- შეუძლია ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას ცოდნის შეფასების მრავალფეროვანი მეთოდებისა და ფორმების გამოყენება

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება (მათემატიკის მიმართულებისთვის)
კურსდამთავრებულს:

- შეუძლია ეროვნული სასწავლო გეგმის მათემატიკის საგნობრივ პროგრამაზე დაყრდნობით მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განსაზღვრა და შესაბამისი საქმიანობის დაგეგმვა;
- შეუძლია მათემატიკური მოდელების გამოყენება რეალური ვითარებიდან მომდინარე ამოცანების ამოხსნისას;
- შეუძლია შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული მათემატიკის სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა მოსწავლის ფიზიკური, სოციალური, ემოციური, შემეცნებითი და კომუნიკაციური თავისებურებების გათვალისწინებით;
- შეუძლია შეფასების მრავალფეროვანი მეთოდებისა და ფორმების გამოყენება მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად;
- შეუძლია კვლევაზე დაფუძნებული პრაქტიკული პროექტების დაგეგმვა და განხორციელება მათემატიკის სწავლებისას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება (საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებისთვის - ისტორია):
კურსდამთავრებულს:

- შეუძლია ეროვნული სასწავლო გეგმის ისტორიის საგნობრივ პროგრამაზე დაყრდნობით მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განსაზღვრა და შესაბამისი საქმიანობის დაგეგმვა;
- შეუძლია მიზნობრივად გამოიყენოს ისტორიის სწავლისა და სწავლების სტრატეგიები;

- შეუძლია კვლევაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის წარმართვა მოსწავლეებში კვლევითი უნარების განვითარების მიზნით;
- შეუძლია სასწავლო რესურსების გამოყენება, როგორც საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განახლება-განვითარების, ასევე, გაკვეთილის დაგეგმვისა და წარმართვის პროცესში;
- შეუძლია ისტორიის სწავლებისას მოსწავლეთა ცოდნის შეფასების მრავალფეროვანი მეთოდებისა და ფორმების მიზნობრივი გამოყენება; სქემებისა და რუბრიკების შედგენა;
- შეუძლია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების და სხვა საგნობროვი ჯგუფების მასწავლებლებთან თანამშრომლობა, ინტეგრირებული გაკვეთილების ერთობლივი სტრატეგიების შემუშავება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება (საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებისთვის - გეოგრაფია):

კურსდამთავრებულს:

- შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისას ეროვნული სასწავლო გეგმის გეოგრაფიის საგნობრივი პროგრამის გათვალისწინება;
- შეუძლია მიზნობრივად გამოიყენოს სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი და სპეციფიური სტრატეგიები გეოგრაფიის სწავლებისას მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით;
- შეუძლია სწავლების ისეთი სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენება გეოგრაფიის სწავლებისას, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას;
- შეუძლია შეფასების მრავალფეროვანი მეთოდებისა და ფორმების მიზნობრივი გამოყენება მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად გეოგრაფიის სწავლებისას;
- შეუძლია კოლეგებთან თანამშრომლობის გზით ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება;
- შეუძლია კლასგარეშე მუშაობისას მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინება, უსაფრთხოებაზე ზრუნვა, რისკების გათვალისწინება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება (საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებისთვის - სამოქალაქო განათლება):

კურსდამთავრებულს:

- შეუძლია ეროვნული სასწავლო გეგმის სამოქალაქო განათლების საგნობრივ პროგრამაზე დაყრდნობით მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განსაზღვრა და შესაბამისი საქმიანობის დაგეგმვა;
- შეუძლია მიზნობრივად გამოიყენოს დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლისა და სწავლების სტრატეგიები;
- შეუძლია დემოკრატიული მოქალაქეობის პრაქტიკული სასწავლო პროგრამის აგება და განხორციელება ინტერდისციპლინარულ მიდგომებზე დაფუძნებით;
- შეუძლია მოქალაქეობასთან დაკავშირებით თანამედროვე, მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის მოძიება და გამოყენება;
- შეუძლია დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლებისას მოსწავლეთა ცოდნის შეფასების მრავალფეროვანი მეთოდებისა და ფორმების მიზნობრივი გამოყენება; სქემებისა და რუბრიკების შედგენა;
- შეუძლია მოსწავლეებისათვის დემოკრატიული მოქალაქეობის პრაქტიკული გამოცდილების განვითარების ხელშეწყობა;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება (საერთო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებისთვის - ბიოლოგია; ფიზიკა):

კურსდამთავრებულს:

- შეუძლია, მიზნობრივად გამოიყენოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ბიოლოგიის ან ფიზიკის სწავლისა და სწავლების სტრატეგიები;
- შეუძლია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწენებით კვლევაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა მოსწავლეებში კვლევითი უნარების განვითარების მიზნით;
- შეუძლია შეფასების მრავალფეროვანი და სპეციფიური მეთოდების მიზნობრივი გამოყენება მოსწავლეთა მიღწევებისა და პროგრესის შესაფასებლად ბიოლოგიის ან ფიზიკის სწავლებისას;
- შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა/სწავლების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით;
- შეუძლია საბუნებისმეტყველო საგნების და სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან თანამშრომლობა, ინტეგრირებული გაკვეთილების ერთობლივი სტრატეგიების შემუშავება;
- შეუძლია ბიოლოგიის ან ფიზიკის პრაქტიკული გაკვეთილების დაგეგმვისას სხვადასხვა სახის რისკების გათვალისწინება, უსაფრთხოების წესების დაცვა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება (საერთო უცხო ენების მიმართულებისთვის - ინგლისური ენა; გერმანული ენა, რუსული ენა):

კურსდამთავრებულს:

- შეუძლია ეროვნული სასწავლო გეგმის უცხო ენის საგნობრივ პროგრამაზე დაყრდნობით მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განსაზღვრა და შესაბამისი საქმიანობის დაგეგმვა;
- შეუძლია, მიზნობრივად გამოიყენოს ენობრივი საშუალებებისა და სამეტყველო უნარ-ჩვევების სწავლისა და სწავლების სტრატეგიები;
- შეუძლია საგაკვეთილო პროცესის ისე წარმართვა, რომ მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ, გაავლონ პარალელები უცხოურ და მშობლიურ სოციოკულტურულ სამყაროებს შორის; ამოიცნონ და გაანალიზონ მსგავსებები და განსხვავებები;
- შეუძლია უცხო ენის სწავლებისას მოსწავლეთა ცოდნის შეფასების მრავალფეროვანი მეთოდებისა და ფორმების მიზნობრივი გამოყენება; სქემებისა და რუბრიკების შედგენა;
- შეუძლია მედია-რესურსის (მათ შორის, მულტიმედიალური მასალა და სხვ.) გამოყენება უცხო ენის პროცესში სწავლა/სწავლების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით;
- შეუძლია სხვადასხვა ტიპის დავალებებისა და პროექტების შეტანა სასწავლო პროცესში მოსწავლეებში ავტონომიურობის გაზრდის მიზნით მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება (ქართულის, როგორც მეორე / უცხო ენის მიმართულებისთვის):

კურსდამთავრებულს:

- შეუძლია თანამედროვე მეთოდებით სამეტყველო უნარ-ჩვევების და ენობრივი სისტემის ასპექტების სწავლება ქართულის, როგორც მეორე ენისთვის შემუშავებული ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით და ასევე, ქართულის, როგორც უცხო ენისთვის არსებული სტანდარტის მიხედვით ენის ფლობის დონეების საერთო ევროპული ჩარჩოს გათვალისწინებით;

- შეუძლია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე და ქართულის, როგორც უცხო ენის ფლობის დონეების აღწერილობაზე დაყრდნობით ცალკეული დამატებითი მასალების შემუშავება მოსწავლეებში სამეტყველო უნარ-ჩვევების და ენობრივი სისტემის ასპექტების სათანადოდ განვითარებისთვის;
- შეუძლია საკუთარი დამატებითი დავალებების შემუშავება, რათა სათანადოდ შეასწავლოს ენის შემსწავლელებს საქართველოს კულტურა და მისი თავისებურებები;
- შეუძლია შეძენილი თეორიული ცოდნის გამოყენება ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის გაკვეთილის/კურსის შეფასების სისტემის შემუშავებისთვის;
- შეუძლია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე და ქართულის, როგორც უცხო ენის ფლობის დონეების აღწერილობაზე დაყრდნობით შეფასების ინსტრუმენტების შედგენა და მოსწავლის ენის ფლობის დონის ეფექტურად შეფასება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;
- შეუძლია თანამედროვე მეთოდებზე დამყარებული, მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული გაკვეთილის დაგეგმვა და წარმართვა შესაბამისი დიდაქტიკური ხერხების გამოყენებით.

დასკვნის გაკეთების უნარი (საერთო ყველა მიმართულებისთვის)
კურსდამთავრებულს:

- შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკული ანალიზი;
- საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის შეფასების საფუძველზე შეუძლია კოპლექსურად გააანალიზოს საკუთარი პრაქტიკის ეფექტიანობა, გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და შეიმუშაოს პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმა
- ინდივიდუალურად ან/და კოლეგებთან ერთად შეუძლია პრობლემების იდენტიფიცირება პროფესიული სიტუაციების კონტექსტში, მისი ანალიზი, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა და მისი გადაჭრის ეფექტიანი გზების განსაზღვრა;

სწავლის უნარი (საერთო ყველა მიმართულებისთვის)
კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

- ორიენტირებულია სხვადასხვა გზით სიახლეების ათვისებასა და მათ პრაქტიკაში დანერგვაზე;
- აქვს უნარი, მოიძიოს, აითვისოს და გამოიყენოს ახალი ცოდნა საკუთარი პროფესიული განვითარებისათვის.
- გაცნობიერებული აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების მნიშვნელობა მასწავლებლის პროფესიისთვის;
- საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირების საფუძველზე შეუძლია პროფესიული განვითარების დაგეგმვა;

კომუნიკაციის უნარი (საერთო ყველა მიმართულებისთვის)
კურსდამთავრებულს:

- შეუძლია მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან (სხვა კანონიერ წარმომადგენლებთან), კოლეგებთან ეფექტური კომუნიკაცია წერილობით და ზეპირად;
- კომუნიკაციისას შეუძლია აკადემიური სტანდარტების დაცვა;
- კომუნიკაციისას შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება.

ღირებულებები (საერთო ყველა მიმართულებისთვის)
კურსდამთავრებული:

- აცნობიერებს მასწავლებლის პროფესიის მნიშვნელობას;
- მისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლე, როგორც პიროვნება.
- აცნობიერებს პროფესიული განვითარების მნიშვნელობას და უწყვეტი განათლების პროცესში ჩართვის აუცილებლობას;
- აცნობიერებს განათლების ინკლუზიურობის მნიშვნელობას პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნისთვის;
- აცნობიერებს კოლეგებთან გამოცდილების ურთიერთგაზიარების მნიშვნელობას;
- აცნობიერებს და მოსწავლეებს უზიარებს ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობას;
- აცნობიერებებს პროფესიული ეთიკის წესების მნიშვნელობას და იცავს მათ.

შეფასების სისტემა:

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი
(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირი:
სოფიკო ლობჟანიძე sopiko_lobjanidze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი:
ლია ტვილდიანი lia.tvildiani@iliauni.edu.ge

სასერტიფიკატო პროგრამის დასახელება: **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები)**

პროგრამის მოცულობა: 1 წელი (60 კრედიტი)

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმინობისათვის შესაბამისი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ღირებულებები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან.

სწავლის შედეგები:

პროგრამის კურსდამთავრებულს:

● შეუძლია დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასები) ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტების, მოსწავლეთა საჭიროებებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, შემუშავება, მათზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის წარმართვა და შეფასება;

● აქვს უნარი განუვითაროს დაწყებითი კლასის მომსწავლეებს საბაზისო აკადემიური უნარები (წიგნიერება, მათემატიკური წიგნიერება, ეკოლოგიური წიგნიერება, საინფორმაციო წიგნიერება)

● იცის პიროვნების, განვითარებისა და განათლების ძირითადი თეორიები და შეუძლია ამ ცოდნის ეფექტიანად გამოყენება თითოეული მოსწავლის, მათ შორის სსსმ მოსწავლეთა ფიზიკური, სოციალურ-ემოციური თუ კოგნიტური განვითარებისთვის ხელშემწყობი უსაფრთხო, თავისუფალი და მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შესაქმნელად;

● შეუძლია თვითშეფასების, კოლეგებისაგან, დირექციისაგან, მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან მიღებული უკუკავშირისა და მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკული ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და პროფესიული განვითარების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.

შეფასების სისტემა:

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი
(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირი:

სოფიკო ლობჟანიძე sopiko_lobjanidze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი:

ლია ტვილდიანი lia.tvildiani@iliauni.edu.ge

სასერტიფიკატო პროგრამის დასახელება: **ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკა)**

პროგრამის მოცულობა: 1 წელი (60 კრედიტი)

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს მუსიკის (დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ღირებულებები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან.

სწავლის შედეგები:

პროგრამის კურსდამთავრებულს:

● შეუძლია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მუსიკაში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტების, მოსწავლეთა საჭიროებებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, შემუშავება, მათზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის წარმართვა და შეფასება;

● აქვს უნარი განუვითაროს მოსწავლეებს ესთეტიკური აღზრდისთვის აუცილებელი გამჭოლი უნარები და ღირებულებები (შემოქმედებითობა, ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი).

● შეუძლია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ესთეტიკური ბლოკის საგნების სწავლებისას.

● იცის პიროვნების, განვითარებისა და განათლების ძირითადი თეორიები და შეუძლია ამ ცოდნის ეფექტიანად გამოყენება თითოეული მოსწავლის, მათ შორის სსსმ მოსწავლეთა ფიზიკური, სოციალურ-ემოციური თუ კოგნიტური განვითარებისთვის ხელშემწყობი უსაფრთხო, თავისუფალი და მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შესაქმნელად;

● შეუძლია თვითშეფასების, კოლეგებისაგან, დირექციისაგან, მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან მიღებული უკუკავშირისა და მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკული ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და პროფესიული განვითარების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.

შეფასების სისტემა:

(A) 91-100 ფრიადი

(B) 81-90 ძალიან კარგი

(C) 71-80 კარგი

(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირი:

სოფიკო ლობჟანიძე sopiko_lobjanidze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი:

ლია ტვილდიანი lia.tvildiani@iliauni.edu.ge

სასერტიფიკატო პროგრამის დასახელება: **ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)**

პროგრამის მოცულობა: 1 წელი (60 კრედიტი)

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ღირებულებები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან.

სწავლის შედეგები:

● შეუძლია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტების, მოსწავლეთა საჭიროებებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, შემუშავება, მათზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის წარმართვა და შეფასება;

● აქვს უნარი განუვითაროს მოსწავლეებს ესთეტიკური აღზრდისთვის აუცილებელი გამჭოლი უნარები და ღირებულებები (შემოქმედებითობა, ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი).

● შეუძლია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ესთეტიკური ბლოკის საგნების სწავლებისას.

● იცის პიროვნების, განვითარებისა და განათლების ძირითადი თეორიები და შეუძლია ამ ცოდნის ეფექტიანად გამოყენება თითოეული მოსწავლის, მათ შორის სსსმ მოსწავლეთა ფიზიკური, სოციალურ-ემოციური თუ კოგნიტური განვითარებისთვის ხელშემწყობი უსაფრთხო, თავისუფალი და მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შესაქმნელად;

● შეუძლია თვითშეფასების, კოლეგებისაგან, დირექციისაგან, მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან მიღებული უკუკავშირისა და მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკული ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და პროფესიული განვითარების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.

შეფასების სისტემა:

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი
(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირი:

სოფიკო ლობჟანიძე sopiko_lobjanidze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი:

ლია ტვილდიანი lia.tvildiani@iliauni.edu.ge